# გაუმარჯოს 1 მაისს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 84 (7395)

1 მაისი, 1983 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დავაჟკაცდი, გახდი ყანაო!



## ჩვენი სპორტის გაზაფხული

**ბავშვთა** სპორტს ხატოვნად დიდი სპორტის გაზაფხულს უწოდებენ. ჭეჭილივით სათუთად მოსავლელი და საზრუნავია ბავშვთა სპორტი, რომ იგი ხვალის იმედად, ჩვენი სპორტის ბარაქად იქცეს.

იმთავითვე არ მოჰკლებია მზრუნველი ხელი ბავშვთა სპორტს. საბჭოთა ფიზიკური მოძრაობის არაერთი ნოვატორული ნაბიჯი ამ სფეროში პირველად სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში გადაიდგა. სამაგალითოდ გავიხსენოთ თუნდაც ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სპორტული სკოლა ინტერნატი და ფეხბურთის პირველი სპეციალიზებული საშუალო სკოლა. ამ სკოლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ნორჩი სპორტსმენების გამოვლენა-დაოსტატების საქმეში. მაგრამ, რაც დრო გადის, იზრდება მოთხოვნები, თანდათანობით იშლება ზღვარი ე. წ. დიდ სპორტსა და ბავშვთა სპორტს შორის. სპორტის ისეთ სახეობებში კი, როგორიცაა ტანვარჯიში, აკრობატიკა, ცურვა, წყალში ხტომა, სპორტის სხვა სახეობები, წამყვან როლში მოზარდები მოგვევლინენ. ეს ბუნებრივი პროცესია, რაც თვით სპორტის ხასიათიდან გამომდინარეობს და მისი ხელოვნურად შეფერხება ან შეუფასებლობა კარგს არაფერს მოგვიტანს. სწორედ ამიტომ, დღეს როგორც არასდროს, მაღლდება მწვრთნელთა და სპორტის მესვეურთა პასუხისმგებლობა, ახლა აღარ შეიძლება მთელი ყურადღება გადავიტანოთ მხოლოდ იმ შეჯიბრებებზე, რომლებშიც ძირითადად მოზრდილები მონაწილეობენ. ეს მცდარი და ყოვლად გაუმართლებელი ტენდენციაა. ამას ხაზს ვუსვამთ იმიტომაც, რომ კარსაა მომდგარი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის დასკვნითი ეტაპი და ამ დიდი ფორუმისთვის მზადებაში ბავშვთა სპორტს ერთი წუთითაც არ უნდა მოაკლდეს ზრუნვა-ყურადღება.

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის მზადებამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთგვარი სტიმული მისცა ბავშვთა სპორტის განვითარებას. არის სპორტის სახეობები, რომლებშიც ნორჩები თავიანთ უფროს მეგობრებთან ერთად გამოვლენ სასპარტაკიადო არენაზე, მაგრამ უმეტეს სახეობებში, მოზარდი სპორტსმენებისთვის მონაწილეობა სპარტაკიადის ფინალურ სტარტებში შეზღუდულია ასაკის გამო. სწორედ მათ მიმართ გვმართებს ახლა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, ეს ის გოგონები და ბიჭები არიან, რომლებსაც ჯერ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, შემდეგ ქვეყნის ახალგაზრდულ თამაშებში, მერე კი სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მოუწევთ ასპარეზობა; ეს ის ნორჩები არიან, რომელთა შორის საუკეთესოებმა 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში უნდა დაიცვან ქართული და საბჭოთა სპორტის ღირსება.

„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“ — ამ დევიზმა შემოქმედებითი ასახვა უნდა ჰპოვოს ბავშვთა ფიზკულტურასა და სპორტში. ამას მოითხოვს ქართული სპორტის ინტერესები, ამას მოითხოვს ჩვენი უპირველესი ეროვნული საზრუნავი — აღვზარდოთ სულიერად და ფიზიკურად მხნე და ჯანსაღი თაობა.

ჩვენს გაზეთს არასდროს მოუკლია ყურადღება ბავშვთა სპორტისათვის. ამიერიდან უფრო სისტემატურად, უფრო მასშტაბურად და ანალიტიკურად შევეცდებით ვისაუბროთ ბავშვთა სპორტის პრობლემებზე, წარმოვაჩინოთ მოწინავე კოლექტივები და მწვრთნელები, საშეფო ორგანიზაციები, ყველა, ვისაც გული შესტკივა ჩვენ სპორტზე და, რაც მთავარია, გავაცნოთ ის ნორჩები, რომლებიც დღეს უფროსების კვალში დგანან, მაგრამ ხვალ თავად ითავებენ მეწინავეობას.

მათგან ზოგიერთს ჩვენი მკითხველი დღეს გაეცნობა „ლელოს“ საპირველმაისო ნომრის მე-2-3 გვერდებზე.

## მაისი ვარ...

მაისი ვარ, მზეს მოვტაცე
ოქროს ტახტი,
იალაღზე ირმის ჯოგი
გამომექცა,
ხელთ მიპყრავს გამარჯვების
ბაირაღი
და მამულის სილამაზეს
ვუყვარ მწყემსად.

მაისი ვარ, ამირანის
მშობელ მიწას
არწივების ფრთებით მინდა
გადავევლო,
მგლის მუხლი და მტკიცე
მკლავი
მისთვის მინდა,
რომ სილაღე შეემატოს
საქართველოს.
რომ სიცოცხლე ენგურივით
ღელავდეს და,
ვაჟკაცობამ დაიქუხოს
კიდით კიდე,
გულთა შორის ერთგულებას
ვთესავდე და
სანაცვლოდ კი სიყვარულს და
ნდობას ვმკიდე.

მაისი ვარ, სიყვარულის
საყვირს ვუკრავ,
ვაშად მოველ, დავუბოხე
ჩანჩქერს ხმები,
მწვანე მოლზე სველი ფეხი
დამიცურდა,
და სიცილით გადავრიე
ვენახები.

— მე დროშა ვარ, მე ფიცი ვარ
ერთგულების,
მზე და ვარდი ჩემსავით
ვის ჰყვარებია,
ახმიანეთ, აგუგუნეთ
ჩონგურები,
მშვიდობის და სიხარულის
დარებია.

დანიელ ხახიაშვილი.

## ძვირფასი საჩუქარი სამაისოდ!



ხონში გაიხსნა ორი ახალი სპორტული ბაზა — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის სახელობის ცენტრალური სტადიონი და საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის თავის სახელობის საცურაო აუზი (სურათზე).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(იხ. მე-2-3 გვ.).

# ძვირფასი საჩუქარი სამაისოდ!

**ჩვენი** ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლის ერთი უმთავრესი პირობა სპორტული ბაზების მშენებლობის გაფართოებაა. უფრო ჯანმრთელი ახალგაზრდები რომ გვყავდეს, ამისათვის საჭიროა მეტი სპორტული მოედანი, სტადიონი, კორტი, საცურაო აუზი გვქონდეს.

უკანასკნელ ხანს ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვას საცხოვრებელ ადგილებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში; გაუმჯობესდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია, ფართოდ გამოიყენება ტურიზმის დიდი შესაძლებლობები აქტიური დასვენებისათვის; შედარებით მაღალ დონეზე ტარდება სპორტული ასპარეზობები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბავშვთა სპორტის განვითარების საკითხს, არაერთი ახალი სპორტული კომპლექსი და ბაზა ჩადგა ჩვენი ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობისა და წრთობის სამსახურში. სამაისოდ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ხობელმა ახალგაზრდებმა, ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა — აქ დამთავრდა ორი შესანიშნავი ბაზის მშენებლობა, რომლებიც აიგო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ თავკაცობით.

რაიონის მშრომელებთან ერთად უამრავი სტუმარი დაესწრო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის სახელობის ხობის ცენტრალური სტადიონის გახსნას. შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის თავის სახელობის საცურაო სპორტულ კომპლექს „იმედის“ გახსნაზე გადაინაცვლეს.

რაიონის მშრომელების სახელით სიტყვა წარმოთქვა მექანიზატორმა ა. აბრამიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელობას, მშენებლებს ყურადღებისთვის, თავდადებული და მუყაითი გარჯისთვის.

ზეიმის დასასრულს საჩვენებელი გამოსვლები ჩაატარეს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა წყალში მხტომელებმა — ლიანა ცოტაძემ და სერგო შალიბაშვილმა, მოცურავეებმა.

**ნ. ჯოხარიძე.**
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ხობი.

• • •

**სურათებზე: საბჭოთა კავშირის 60 წლის თავის სახელობის ხობის საცურაო სპორტული კომპლექსი „იმედი“; აუზის ნორჩმა ბინადრებმა ჩაიბარეს სიმბოლური გასაღები; თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ხობელი მოსწავლეები; სინქრონული ცურვის ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლა.**

**ა. კოტორაშვილის ფოტოები.**









# იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!

## ვინ მოჰყვება დიდოსტატებს კვალში?

**საუკუნის** მეოთხედია, რაც ვხარობთ ქართველი მოჭადრაკე ქალების დიდი წარმატებებით, სასიქადულო მიღწევებით.

დღეს ყველამ იცის ვინ არის ნონა, მაია, ნანა, კიდევ ნანა და ნინო, მაგრამ განა საინტერესო არაა ვინ მიჰყვება ჩვენს დიდოსტატებს კვალში?

საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში ამჟამად ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა ჩაბმული, მათგან სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის ქეთევან არახამიას, მაკა ცხვედიანის, ნათია წკეპლაძის, ცირა მერეკლიშვილის, გენრიეტა ლაგვილავას, ივეტა კურცხალიას, თამაზ ტაბატაძის, ნუკრი მანაგაძის და სხვების სახელები. ისინი ჯერ თხუთმეტი წლისანიც არ არიან. გვახარებენ უფრო პატარებიც: სოფიკო ნიკოლაძე (მსოფლიო ჩემპიონის მ. ჩიბურდანიძის დისშვილი), სოფიკო ტერელაძე, ლაშა ჯანჯღავა, მირანდა და ბაკურ თავაძეები, ანა დათუაშვილი და კიდევ ბევრი სხვა.

რომელი მათგანი შეუტევს ოლიმპოს, ძნელი გამოსაცნობია. თუმცა მათი პატარა გულები დიდი იმედითაა სავსე. ნორჩების წინსვლას ხელს უწყობენ ერთგული აღმზრდელები, კვალიფიციური მწვრთნელები, ჩვეულებრივი და უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლები თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, ცხაკაიაში...

პატარებსაც აქვთ თავმოსაწონებელი მიღწევები. მაგალითად, ქეთევან არახამია უკვე სპორტის ოსტატია, ივეტა კურცხალია „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია გოგონათა შორის, ხოლო ზეინაბ ხვედელიძემ ამას წინათ საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმარჯვა. განათლების სამინისტრომ ტრადიციად აქცია ნორჩი მოჭადრაკეების პირველობის გამართვა. სწორედ ასეთი შეჯიბრება ტარდება ამჟამად გორში. ფართო საზოგადოებრიობა ჯერ არ იცნობს საჭადრაკო ჯეჯილს, როგორც თავის დროზე არ იცნობდა ნონას, მაიას, ნანას... მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა ეს გოგო-ბიჭები ყურადღებას მიიქცევენ და, ვიმედოვნებთ, ქვეყანასაც აალაპარაკებენ.

**თ. გიორგაძე.**

**სურათებზე: პატარა გორელი ანა დათუაშვილი; შეჯიბრების მონაწილენი გორის ციხესთან; მორიგი ტური.**

**ჯ. კახიძის ფოტოები.**









## სამნი

**ოქტომბრის** მზით გამთბარი დღე იდგა. ალვის ხის ყვითელი ფოთლებით მოფენილ ხეივანში მორიგ მეცადინეობას ვატარებდი — საცხენოსნო სპორტის ანბანს ვუხსნიდი ახალბედებს და თუშურ ცხენზე ამხედრებას ვასწავლიდი.

კორდაზე გამობმულ ცხენის ირგვლივ რკალად იდგნენ ბავშვები. ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ ყოველგვარი კრძალვის გარეშე გამოარღვია რკალი, მოვიდა ჩემთან და ცხენზე შეჯდომა მოითხოვა. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, ავუხსენი, რომ მე სპორტულ მეცადინეობას ვატარებ, მას კი შეუძლია გამქირავებელ პუნქტს მიმართოს.

ძალს მე ვიყავი და ძალს — ის, ხან ფული შემომაძლია, ხან ქართველობა შემახსენა. არ ვიცი, როდემდე გასტანდა ჩვენი „ორთაბრძოლა“, რომ...

თავს ორი მხედარი წამოგვადგა.

— შენ, ეი, აბა აქედან მოუსვი! — დაუცაცხანეს აბეზარს. ისინი ჩვენს ფონზე ბუმბერაზებად მოჩანდნენ და ალბათ ამიტომაც აბეზარი უხმოდ გასცილდა იქაურობას.

მადლიერებით ავხედე ჩემს მხსნელებს და გავვოცდი. ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს.

— ვინა ხარ? — შევეკითხე ერთ-ერთს.

— ვამეხ გაჩეჩილაძე.

— შენა?

— კახა კიკიანი.

იმ დღის შემდეგ ეს ცეროდენა რაინდები ყოველთვის ჩემს შორიახლოს ტრიალებდნენ და იდუმალ მფარველობას მიწევდნენ.

სულ მალე მათ ხვიჩა ტუსიშვილი შემატა და ეს სამეული ჩემი ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ დანამატად გადაიქცა. მოუთმენლად მოველი ჩემი „ტრიოს“ გამოჩენას.

ისინი სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ოდნავ დაძაბულ მყუდროებაში ონავრულად, ცხენებზე თავისუფლად მონავარდენი ლაღი ქარის მსგავსად შემოიჭრებიან და გარშემო მტვრის კორიანტელს დააყენებენ. მათი შემხედვარე ფიქრობ — რა იოლია ცხენის მართვა?! ახალბედები კრძალვითა და სიყვარულით შეჰყურებენ მათ და როცა მოასფალტებულ გზაზე მათი ცხენების ფეხის ხმა შემოესმებათ, მომახარებენ ხოლმე — მასწავლებელო, „ტრიო“ მოდისო.

ნაღველი შემომაწვება, როცა რომელიმე მათგანი მეცადინეობას აცდენს, რადგან ვიცი, ბიჭები უმიზეზოდ არ გააცდენენ ვარჯიშს, ხოლო როცა რომელიმე მათგანი რაიმე მიზეზით უკან ჩამორჩება, ბიჭები თვითონ „მამშვიდებენ“ — ზაირა დეიდა, მესამე უკან მოდისო.

ჩემი შეგირდები გრძნობენ როგორ მიყვარს ეს სამეული და მთხოვენ ისინიც მათ სიაში ჩავწერო, მაგრამ ნუ მიწყენენ პატარები, თუ ეს „ტრიო“ განსაკუთრებულად მიყვარს. მათთან გაცნობა ხომ საცხენოსნო სპორტში ჩემი საწვრთნელი მოღვაწეობის პირველ, ერთულეს ნაბიჯებთან არის დაკავშირებული.

ისინი სამნი არიან, ერთმანეთის ტოლნი და სწორნი, ერთმანეთის უაღრესად მოყვარულნი და სპორტში ერთმანეთის მეტოქენი.

ჩემს თვალწინ იზრდებიან, ვაჟკაცდებიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, გულშემატკივრობენ, უხარიათ, შეცდომებს უხსნიან და ერთმანეთს პირველები ულოცავენ წარმატებას.

მახარებს მათი სიხარული. გულს მტკენს მათ თვალზე მარცხით გაჩენილი ცრემლი, ცოტახნით განმარტოებისკენ რომ უბიძგებთ, მაგრამ ჩემი ბიჭები მალე ისევ მაყურებელთა შორის გამოჩნდებიან ხოლმე და ერთმანეთს ქომაგობენ.

თბილისის სპარტაკიადა საცხენოსნო სპორტში, სადაც საქართველოს ნაკრები თავის მორიგ რეპეტიციას გადიოდა, „ტრიოს“ წარმატებით დაგვირგვინდა.

„თბილისის თასის“ გათამაშებაში I ექსპერიმენტული სკოლის VIII კლასის მოსწავლე ხვიჩა ტუსიშვილმა ყველა დაბრკოლება უშეცდომოდ გადალახა, შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და ქალაქის სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა (II — „ამორჩევით პარკურში“).

სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა 167-ე სკოლის მოსწავლე კახა კიკიანმაც, 147-ე სკოლის მოსწავლემ ვამეხ გაჩეჩილაძემ კი III საპრიზო ადგილი დაიკავა (ასევე „ამორჩევით პარკურში“).

ჩემს ბიჭებთან ერთად გაიხარა ყველამ, ვინც იმ დღეს იპოდრომის დახურულ მანეჟში ჭაბუკ მხედართა ამ ბრწყინვალე გამარჯვების მოწმე გახდა.

ვულოცავ ჩემს სამეულს თბილისის სპარტაკიადაზე მოპოვებულ წარმატებას. მსურს ჭაბუკ მხედართა ეს ერთობლივი გამარჯვება საწინდარი გახდეს ქართული საცხენოსნო სპორტის აღორძინებისა და საქართველოს წარგზავნილთა წარჩინებისა თვით ოლიმპიურ სარბიელზე.

**ზ. ლოლობერიძე,**
**განათლების სამინისტროს ცხენოსნობის რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი.**

• • •

**სურათზე: ეს „ტრიო“ — ვ. გაჩეჩილაძე, ხ. ტუსიშვილი, კ. კიკიანი — ყველგან და ყოველთვის ერთად არის.**

## ჩემპიონი



— **მოუსვენარი** ბავშვი, ცელქი გოგონა, ანცი, ციბრუტი — ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ ცეროდენა ეკას დედა, ახლობლები. მერე ერთმა აზრი გამოთქვა: მაგისგან კარგი აკრობატი ან ტანმოვარჯიშე დადგებაო. მართლაც კარგი ტანმოვარჯიშე დადგა ეკა, მაგრამ ვიდრე დიდი სპორტის გზაზე გავიდოდა, შრომის, ვარჯიშის დიდი ტვირთის გადატანა მოუხდა მის პაწია მხრებს...

დარბაზში ხუთი გოგონა ვარჯიშობს ქორეოგრაფიაში. ხუთივე მოხდენილად, მსუბუქად ასრულებს ილეთებს, მაგრამ ერთი მათგანი გამოირჩევა — ძალდაუტანებლად მოძრაობს, შედარებით მსუბუქად დანავარდობს.

— ესაა ჩვენი ეკა, — გვეუბნება საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი რუსუდან სიხარულიძე.

ასეც ვფიქრობდი.

მეორე კლასში იყო ეკა ზეთურიძე, როცა დედამ დარბაზში მოიყვანა. ახლა იგი თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასში სწავლობს. 14 წლის გოგონა უკვე სპორტის ოსტატია. ახლახანს კაუნასში გამართულ სსრ კავშირის პირველობაზე ყველას აჯობა მრავალჭიდში და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო.— განსაკუთრებით გამოირჩეოდა იგი თავისუფალ ვარჯიშში, — გვიყვება საქართველოს სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსი ი. ოგანოვი, — შეფასებაც ძალიან მაღალი მიიღო — 9,8 ქულა!

სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის! ეს ტიტული მრავლისმთქმელია და სამომავლო გამარჯვებათა ერთგვარი წინაპირობაც.

ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ეს ასე მოხდეს!

**დ. გარუჩავა.**

• • •

**სურათზე: ეკა ზეთურიძე.**
**ე. ხუცურაულის ფოტო.**

## თავბრუ-დამხვევი სისწრაფით



**6 წლის** იყო, როდესაც მამამ პირველად დააყენა თხილამურებზე — „პროკატიდან“ გამოტანილ ყავისფერ „მუკაჩევოებზე“. თასმებით ამოკრული სამაგრეები, „ტილოგრეიკის“ მაგვარი მუქი კოსტუმი, ფეხსაცმელში ჩატანებული ნაცრისფერი შარვალი და უზარმაზარი ქუდი — „უშანკა“... ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა, უფროსმა ორჯონიკიძემ ბაკურიანის პარკში რომ ამოიყვანა სასრიალოდ. ნაცნობმა ფოტოგრაფმა სულიკო მიქაბერიძემ იქვე აღბეჭდა ფირზე „მომავალი ჩემპიონი“ თავის პატარა ძმასთან ერთად. რა იცოდა გრძელკანჭება წაღვერელი პირველკლასელი გია ორჯონიკიძე მართლაც ჩემპიონი თუ გახდებოდა და ეს სურათი საოჯახო სპორტული მუზეუმის ექსპონატთა შორის თვალსაჩინო ადგილს დაიკავებდა...

დღეს სპორტის ოსტატი გია ორჯონიკიძე საქართველოს ჭაბუკთა და იუნიორთა 14-გზის, ხოლო მოზრდილთა შორის სამგზის ჩემპიონია სწრაფდაშვებაში, გიგანტურ და სპეციალურ სლალომში, სსრ კავშირის ჩემპიონატის (შერეგეში) მესამე პრიზიორი, იუნიორებში ქვეყნის 6-გზის ჩემპიონი.

გარდა ამისა, 1982 წლის მარტში გ. ორჯონიკიძე წარმატებით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ შპინდლერუვ მლინში ტატრების მთებში გამართულ სოციალისტური ქვეყნების „მეგობრობის თასზე“ (ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა სწრაფდაშვებაში), უძლიერეს მოთხილამურეთა ტურნირში (ფრუნზე, აგვისტო) მეორე იყო სწრაფდაშვებაში ვლადიმერ მაკეევის შემდეგ, ხოლო გიგანტურ სლალომში — მესამე, გასული წლის ნოემბერში საკავშირო შეჯიბრებაში სეზონის გახსნის პრიზზე ტერსკოლში კვლავ მეორე შედეგი აჩვენა გიგანტური სლალომის ტრასაზე...

ნიჭიერი სპორტსმენი 1982 წლის დამდეგს ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს. მან მონაწილეობა მიიღო აირონში (საფრანგეთი) გამართულ იუნიორთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში, ევროპის ქვეყნებში გამართულ ორთვიან ტურნეში (ავსტრია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი), რომლის სტარტები საუკეთესო „სათხილამურო უნივერსიტეტი“ გამოდგა მისთვის.

მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ორჯონიკიძე გამოეყვანათ მოზრდილთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე კინცბიულის (ავსტრია) ყინულის ძალზე რთულ ტრასაზე, სადაც მოთხილამურეთა სისწრაფე ზოგიერთ მონაკვეთზე 160 კილომეტრს აღწევს.

— შენი სისწრაფე არ გვაინტერესებს, მთავარია ბოლომდე გაიარო ტრასა, — მითხრეს შეჯიბრების წინა დღეს ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა — ეცადე, რთული მონაკვეთები დამუხრუჭებით, დგომაში გაიარო...— გვიამბობს ჩვენი რედაქციის სტუმარი.

— მერე?

— ძალიან ვღელავდი. მაინც ბოლომდე გავიარე. ალაგ-ალაგ თურმე 150 კილომეტრამდე სიჩქარით მივდიოდი. ეს მერე მითხრეს და, გამოგიტყდებით, ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდეც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იქაური ტრასები ყოველმხრივ დაცულია და პრაქტიკულად უსაფრთხოების სრულ გარანტიას იძლევა, ერთი სიტყვით, მილოცავდნენ ყველანი — მწვრთნელები, სპორტსმენები... მაკეევი გადამეხვია და მაკოცა. იმ დღის შემდეგ დამიმეგობრდა — საკუთარი „საიდუმლო“ რეცეპტიც გამანდო და თავისი ახალი ავსტრიული სათხილამურო ჯოხებიც მაჩუქა...

იტალიის ქალაქ სესტრიერში დანიშნულ იუნიორთა მეორე მსოფლიოს პირველობის წინადღეს, ვარჯიშისას გია დაშავდა, — მაგრამ მაინც გამოვიდა სტარტზე და 100 მონაწილეს შორის მე-40 შედეგი აჩვენა, სამჭიდში უძლიერესი კი კიროვსკელი ლეონიდ მელნიკოვი გახდა, გულწრფელად მიულოცა გიამ მეგობარს — პირველ საბჭოთა მსოფლიოს ჩემპიონს სამთო-სათხილამურო სპორტში.

ახლახან კი ლ. მელნიკოვი თვითონ ულოცავდა გამარჯვებას ქართველ სპორტსმენს — ორჯონიკიძემ 15 აპრილს კიროვსკში დამაჯერებლად მოიგო სსრ კავშირის პირველობა სწრაფდაშვებაში — გაუსწრო ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორებიც არიან კიროვსკელი ალექსანდრე კოსტრომა და ლვოველი დიმიტრი არეფიევი. მელნიკოვი ამჯერად მხოლოდ მეშვიდე იყო.

— თხილამურები ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი ცისფერი „როსიგნოლები“ ამ დღეებში დროებით კედელზე მივაყუდე — სკოლას ვამთავრებ და უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადები. მინდა მამასავით მეც იურისტი გამოვიდე...

— კიდევ რა გიყვარს?

— წიგნები, მხატვრული ლიტერატურა, ყველაზე მეტად — კონსტანტინე გამსახურდია. ქართულ საესტრადო სიმღერებსაც სიამოვნებით ვუსმენ თავისუფალ დროს...

მაგრამ თავისუფალი დრო ბევრი როდი აქვს 17 წლის სპორტის ოსტატს. დრო ყველაზე ძვირად ფასობს კარგი სპორტსმენისთვის.

**ო. ნოზაძე.**

• • •

**სურათზე: გია ორჯონიკიძე მადონა დი კამპიგლიოს (იტალია) ტრასაზე ასპარეზობისას.**

## უმაღლესი ლიგა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

თბილისის დინამოელები კიშინიოვში შეხვდნენ ადგილობრივ „ნისტრუს“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

მოსკოვში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა ტაშკენტის „ფახთაქორი“ ანგარიშით 1:0.

# პირველი ქულა სტუმრად

**დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის“ სტადიონი. 29 აპრილი.**

**„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.**

**„დნეპრი“: კრაკოვსკი, ჩერვონი, დილაი, ზუევი, ლისენკო (სერებრიანსკი), პავლოვი, კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, უსტიმჩიკი, პოგორელოვი, პროტასოვი (ლიუტი).**

**„ტორპედო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჭილაია, ჭელიძე, თავაძე, კოსტავა, ბურკაძე (ბარაქაძე), თევზაძე, კეტაშვილი, თვალაბეიშვილი, კვერნაძე (ქორიძე).**

**მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ომსკი).**

**გააფრთხილეს გაბელია, თევზაძე.**

**დუბლიორები — 3:0.**

ხანგრძლივი წვიმისგან ატალახებული „მეტეორის“ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა, ამიტომ პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო შესაძლებლობათა სრულად გაშლა. ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ, ფრთხილობდნენ, დაბალ ტემპში თამაშობდნენ. 45 წუთის განმავლობაში ბრძოლა უმთავრესად თანაბარი იყო. მასპინძლებმა რამდენიმეჯერ შორიდან დაარტყეს კარში, მაგრამ გაბელია დროზე ხვდებოდა ბურთს. ტაიმის დასაწყისში კარგი შანსი შეექმნა პოგორელოვს და აქ კვლავ გამოიჩინა თავი გაბელიამ, ბოლო წუთებზე კი კვერნაძე-თვალაბეიშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელმა დაასრულა თავური დარტყმით, მაგრამ ბურთი აცდა კარს.

მნიშვნელოვნად იმატა ტემპმა მეორე ტაიმში, დნეპროპეტროვსკელებმა თავიდანვე ძლიერად შეუტიეს, მაგრამ ტორპედოელებმა მტკიცედ გაამაგრეს დაცვა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გაბელიას თანგანწირული თამაში, თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ ხიზანიშვილი, ჭილაია, ჭელიძე, თავაძე, კოსტავა, თევზაძე, კეტაშვილი. შუა მინდორში მონდომებით მოქმედებდა ბურკაძე, ხოლო კონტრშეტევისას აქტიურობდნენ თვალაბეიშვილი და კვერნაძე. იყო მომენტები, როცა მასპინძლები, თითქოს, ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ „ტორპედოს“ დაცვა თავგამოდებით უმკლავდებოდა მათ.

თუმცა, 30-ე წუთზე „დნეპრის“ კარიც სასწაულით გადაურჩა აშკარა გოლს, როდესაც ქორიძე შეიჭრა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე. მას შეეძლო კიდევ უფრო მიახლოვებოდა კარს, მაგრამ დარტყმა ამჯობინა და ოდნავ ააცილა მიზანს.

ბოლო წუთები მთლიანად ტორპედოელთა ნახევარზე მიმდინარეობდა, მაგრამ მათ შეძლეს კარის უხიფათობის შენარჩუნება. ფრე — 0:0. ეს ქუთაისის ტორპედოელთა პირველი ქულაა, რომელიც წლეულს მათ სტუმრად აიღეს.

**ბ. ნამიჭეიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

**რედაქციისაგან:** ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ქუთაისის ტორპედოელებმა წლეულს ძალიან სუსტად დაიწყეს სსრ კავშირის ჩემპიონატი. მათ ზედიზედ წააგეს პირველი 4 ტურის შეხვედრები, შემდეგ შინ ქულა აიღეს მინსკის „დინამოსთან“, მომდევნო ტურში კი კვლავ დამარცხდნენ.

თითქმის მთლიანად შეიცვალა კოლექტივის ხელმძღვანელობა, მას ჰყავს ახალი უფროსი მწვრთნელი თ. გრძელიშვილი, გუნდის უფროსი ა. წვერავა და მწვრთნელი მ. შერგელაშვილი. ცვლილებებია ფეხბურთელთა გუნდშიც.

VII ტურის მატჩი დნეპროპეტროვსკში ქუთაისელ ფეხბურთელთა გარკვეულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, მათ ქულის აღება შეძლეს „დნეპრთან“ და მონდომებული, ენერგიული თამაში აჩვენეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გუნდი გამოასწორებს არსებულ ჩამორჩენას და შემდგომში ძალებს არ დაზოგავს დასახული მიზნის მისაღწევად.

მაგრამ შეშფოთებას იწვევს დისციპლინის მდგომარეობა კოლექტივში. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე ამას წინათ მეტად მკაცრ, მაგრამ სამართლიან სანქციებს მიმართა ქუთაისელი ფეხბურთელების მ. მეგრელაძისა და ო. კორღალიძის მიმართ, შესაფერისი სასჯელები დაიმსახურეს, აგრეთვე, ვ. კურტანიძემ და ნ. ჭელიძემ და ყველაფერი ეს მაშინ, როდესაც ტორპედოელთა კოლექტივს ძალიან უჭირს. ძირითად მოთამაშეთა იძულებითი დანაკლისი ასეთ მძიმე პერიოდში, რა თქმა უნდა, დიდად ვნებს მთელ გუნდს.

დისციპლინის დარღვევებს, უხეშობას, უწესრიგობას კარგი არასოდეს არავისთვის მოუტანია და ვერც მოუტანს. გვინდა ღრმა რწმენა გამოვთქვათ, რომ ქუთაისის ტორპედოელთა მთელი კოლექტივი, ხელმძღვანელები, ფეხბურთელები, ზემდგომი ორგანოების დახმარებით ძირფესვიანად აღმოფხვრიან უწესრიგობას და სანიმუშო დისციპლინას დაამყარებენ თავიანთ რიგებში.

ნუ დავივიწყებთ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ ერთ დროს ღირსეულად ფლობდა სამართლიანი თამაშისთვის დაწესებულ საკავშირო საპატიო პრიზს. მაშინ ტორპედოელები არ უხეშობდნენ და კარგადაც თამაშობდნენ.



# ცვლილებები კალენდარში

**სსრ კავშირის** სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ცვლილებები შეიტანა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატისა და თასის კალენდრებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ დონეცკის „შახტიორი“ და ხარკოვის „მეტალისტი“ გავიდნენ საკავშირო თასის ფინალში, მათი 7 მაისის კალენდარული მატჩები საკავშირო ჩემპიონატში გაიმართება სარეზერვო დღეს — 20 ივნისს. ამ დღეს ითამაშებენ „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ და „მეტალისტი“— „დნეპრი“.

**თვით სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი გაიმართება არა 9, არამედ 8 მაისს.**

მოსკოვის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრა 13 მაისიდან გადმოტანილია 12 მაისისთვის.

# სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმება კატიუშა



**ჩვენი** სპარტაკიადის თილისმაა კატიუშა — სიმპატიური, ქერა ნაწნავებიანი, მომღიმარე გოგონა, აფიშებსა და პლაკატებზე გაცოცხლებული, ლამაზ სარაფანაში გამოწყობილი იგი, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელი, ხელსახოცზე დადებული პურ-მარილითა და სიტყვებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე 1983 წელს“ მიესალმება ჩვენი ქვეყნის უდიდესი სპორტული ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს.

კატიუშას მხატვარია გ. მანუილოვი, რომელიც 30 წელზე მეტია სპორტულ თემატიკაზე მუშაობს. მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის კურსდამთავრებული, წარსულში „სპარტაკის“ ფრენბურთელთა გუნდის მოთამაშე მანუილოვი „ოლიმპიადა-80“-ის პლაკატის კონკურსის ლაურეატი, სსრ კავშირისა და რსფსრ-ის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადების ოფიციალური ემბლემების, ჩვენს ქვეყანაში გამართული ბევრი საერთაშორისო შეჯიბრების მედლების ესკიზთა ავტორია.

—ჯერ მინდოდა სპარტაკიადის თილისმად ამერჩია დათვი — ოლიმპიური „მიშკას“ მემკვიდრე, — თქვა მანუილოვმა, — მაგრამ როცა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის დებულებას გადავხედე, მომაგონდა იმ წლების პოპულარული სიმღერა „კატიუშა“. გამახსენდა, რომ სპარტაკიადის საზეიმო გახსნის სცენარის მიხედვით სტუმრებს პურითა და მარილით შეხვდებიან ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები და ახალი იდეაც მაშინ გამიჩნდა.

ამრიგად, კატიუშამ ახალი ნათელი სპორტული დღესასწაულის აღსანიშნავად ესტაფეტა მიიღო ოლიმპიური მიშკასგან. (საქდესი).

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში





**შვიდი** წლის საშა ხარლამოვი, მისი და ბეგონია სიამოვნებით ვარჯიშობენ ცსკა-ს სპორტკლუბში— სწორედ იქ, სადაც მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა მათი მამა, სახელგანთქმული ჰოკეისტი ვალერი ხარლამოვი. ბეგონია (სურათზე მარცხნივ) პირველ ნაბიჯებს დგამს ყინულზე — ფიგურული სრიალის ოსტატი უნდა გამოვიდეს, საშა უკვე საკმაოდ მოხდენილად თამაშობს ჰოკეის.

საქდესის ფოტო.

●

**აშხაბადელ** ბიჭუნას არტიკ ოვეზოვს ახლახანს შეუსრულდა ექვსი წელი. სამი წლის იყო იგი, როდესაც ჭადრაკის თამაში დაიწყო, ახლა კი მეორეთანრიგოსანია.

სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ მოჭადრაკეს, როდესაც იგი ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს 20 დაფაზე. ამ დღეს არტიკმა დაამარცხა 17 მეტოქე, სამთან კი ყაიმს მიაღწია.

საქდესის ფოტო.



## ● ჩოგბურთი

# დღეს ფინალებია

**თბილისში** „დინამოს“ კორტებზე დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. დაძაბული გამოდგა მოსკოველი სპორტსმენების ნ. ბიკოვასა და მ. მილვიდსკაიას ორთაბრძოლა. ბიკოვა ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ მეტოქემ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, გადაარჩინა თითქმის წაგებული პარტია და გაიმარჯვა — 7:6, 6:2.

ფინალში მილვიდსკაიას მეტოქე იქნება მისი თანაქალაქელი ო. ლიფანოვა, რომელმაც აჯობა ი. ფიშკინას — 6:3, 6:4.

ვაჟთა შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო თბილისელ ვ. ხურდასა და პ. ფორსტის (ჩეხოსლოვაკია) ორთაბრძოლა იყო. პირველ პარტიაში მასპინძელი დაწინაურდა — 3:0, შემდეგ სტუმარმა ალღო აუღო მეტოქის თამაშს და ზედიზედ 5 გეიმი მოიგო. ხურდამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბოლოს მაინც დათმო ხელი — 6:7. მეორე პარტიაში ბრძოლა თავიდანვე თანაბარი იყო, მაგრამ ხურდამ მაინც გაიმარჯვა 6:3. გადამწყვეტ პარტიაში თბილისელი ჩოგბურთელის უპირატესობა უკვე აშკარა იყო და მან დამაჯერებლად სძლია მეტოქეს ანგარიშით 6:2.

დღეს ფინალში (დასაწყისი 15 საათზე) ხურდა შეხვდება კიეველ ს. ბაკაის, რომელმაც თავის მხრივ სძლია ა. ოიასალუს (ტალინი) — 6:4, 6:4.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
გ. ახალაძე.

## ● წყალბურთი

**სოფიაში** დამთავრდა ტრადიციული ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი „დიანას თასზე“. გაიმარჯვა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც 14 შესაძლებლიდან 13 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გავიდნენ ესპანელები, ხოლო მესამეზე — მასპინძლები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 11 ასეთი ტურნირიდან რვაში საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. ნაკრებში სხვებთან ერთად თბილისელი კ. კანდელაკიც იყო. ტურნირის საუკეთესო მცველად კიეველი ს. გალუშკო დაასახელეს.

# პანორამა

## ● მაგიდის ჩოგბურთი

**ტოკიოში** გრძელდება მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. გაიმართა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში. მესამედ გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა, რომლებმაც დაამარცხეს რუმინელები — 3:1.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა მეორე დამარცხება იწვნია მატჩში უნგრეთის ძლიერ გუნდთან — 3:5.

## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-18 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 6 (ძიუდო), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (ციგაობა), 39 (მთამსვლელობა), 45 (მაგიდის ჩოგბურთი), 47 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 19 (სათხილამურო რბოლები), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

## „მართვე“ №1



**გამოვიდა** „მართვეს“ 1983 წლის პირველი ნომერი. როგორც ყოველთვის, ამ ნომერშიც ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა მკითხველი. ჟურნალისტ ნოდარ გუგუშვილის საუბარი კლასიკური სტილით მოჭიდავეთა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან დავით დავითაიასთან ეხება ქართველი ფალავნების მზადებას VIII საკავშირო სპარტაკიადისათვის. თბილისის 76-ე საშუალო სკოლაში დანერგილი სიახლეებია განზოგადებული თენგიზ თომაშვილის წერილში — „რიგითი სკოლის შესაძლებლობები“. ცნობილი ფეხბურთელის დავით ყიფიანის წერილი ეძღვნება თანამედროვე საზოგადოებაში, განსაკუთრებით ბავშვთა ცხოვრებაში სპორტის როლს. „მართვე“ აგრძელებს საუბარს თბილისის ცალკეულ უბნებში ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრობლემებზე. ამჯერად ყურადღების ცენტრშია დიღმის მასივი. რუბრიკით „ჯანმრთელობის ფასი რა არი!“ ქვეყნდება გლებ პროპასტინის წერილი „ფეხით სიარულის სიკეთე“. მკითხველი ინტერესით წაიკითხავს არჩილ გოგელიას ნარკვევს ფეხბურთელ გიორგი სიჭინავაზე. სათხილამურო სპორტის განვითარებაში გუდაურის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს დავით კაკაბაძის ჩანახატი. მწერალი ნუგზარ შატაიძე კი მკითხველს მოუთხრობს კასკადიორების რთულ ცხოვრებაზე. „სპორტი XXI საუკუნეში“ ამ თემას ეძღვნება თენგიზ გაჩეჩილაძის წერილი, რომელსაც დართული აქვს ელექტრომანქანებისა და სპეციალისტების პროგნოზები ახალი საუკუნის რეკორდების შესახებ. ცხრილში ცალკეა გამოყოფილი სვეტი მკითხველის პროგნოზისათვის. ამავე ნომერშია წერილები პიერ კუბერტენზე და პაოლო როსიზე. ქვეყნდება „რუბიკის კუბიკის“ აწყობის პირველი გაკვეთილი.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**2 მაისს** 18 საათზე რიყის საჭიდაო არენაზე თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტკომიტეტი აწყობს ცნობილი მოჭიდავის ე. ქარქუსაშვილის სახელობის თასის გათამაშებას **ქართულ ჭიდაობაში.**

# სპორტული მაისი

**2-7. წყალბურთი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. სოხუმი.

**3-8. ბალახის ჰოკეი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ვაჟები. ქუთაისი.

**3-9. ცხენოსნობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. გუდაუთა.

**3-10. კრივი** — საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის მემორიალი. ცხინვალი.

**3-13. ჭადრაკი** — რესპუბლიკური შეჯიბრება „თეთრი ეტლი“ 1969 წ დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. თერჯოლა.

**4-8. კლასიკური ჭიდაობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ქუთაისი.

**5-8. ქართული ჭიდაობა** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. IV ზონა. ონი.

**5-22. ჭადრაკი** — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი. თბილისი.

**6-15. რაგბი** — საკავშირო შეჯიბრება 1960-64 წწ დაბადებულ სპორტსმენთა შორის. წინასწარი შეჯიბრებები. ქუთაისი.

**7-14. ხელბურთი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ქალები. სოხუმი.

**9-12. ველო-ტრეკი** — საერთაშორისო შეჯიბრება „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი“. თბილისი.

**10-13. ბალახის ჰოკეი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ქალები. ეშერა.

**10-14. თავისუფალი ჭიდაობა**— საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ქუთაისი.

**10-15. ძიუდო** — საქართველოს სსრ პირველობა 1964-66 წწ დაბადებულ იუნიორთა შორის. საგარეჯო.

**10-18. აფროსნობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ფოთი.

**11-15. ცხენოსნობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობაში. გუდაუთა.

**12-15. კარატე** — რესპუბლიკური შეჯიბრება 1966-67 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. თბილისი.

**12-15. მშთ-ს მრავალჭიდი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა —ზონა ხობი.

**12-15. მშთ-ს მრავალჭიდი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ზონა. ტყიბული.

**12-16. მშვილდოსნობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ბათუმი.

**13-15. სინქრონული ცურვა** — საქართველოს სსრ ღია პირველობა საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი.

**13-17. სამბო** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ტყიბული.

**17-20. ველო-ტრეკი** — საქართველოს სსრ პირველობა 1965-67 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

**18-22. მძლეოსნობა** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. თბილისი.

**18-26. ტყვიის სროლა.** საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. სოხუმი.

**19-22. მშთ-ს მრავალჭიდი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ზონა. გურჯაანი.

**19-22. მშთ-ს მრავალჭიდი** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ზონა. გორი.

**19-28. ქართული ჭიდაობა** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ფინალი. ტყიბული.

**19-23. სასტენდო სროლა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. თბილისი.

**19-26. ხელბურთი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ვაჟები. ბათუმი.

**20-22. მძლეოსნობა** — ლესელიძის თასი ტყორცნებში. ლესელიძე.

**20-23. საგზატკეცილო ველორბოლა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. თბილისი.

**23-28. წყალბურთი** — საერთაშორისო ტურნირი „ჟურნალისტთა კავშირის“ პრიზზე. თბილისი.

**23-31. ჭადრაკი** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ფოთი.

**24-27. სამბო** — საქართველოს სსრ პირველობა 1963-64 წწ დაბადებულ იუნიორთა შორის. თელავი.

**24-28. ძალოსნობა** — საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა. ქუთაისი.

**26-29. მშთ-ს მრავალჭიდი** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ზონა. ჭიათურა.

**26-29. მშთ-ს მრავალჭიდი** —საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადა — ზონა. ბორჯომი.

**27-29. მძლეოსნობა** — საქართველოს სსრ პირველობა სპორტული სკოლების 1968-69 წწ დაბადებულ მოსწავლეებს შორის. თბილისი.

**შენიშვნა: პირველი თარიღი გუნდების ჩამოსვლის დღეა.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07556